ონლაინ შეკვეთის წესები და პირობები

ონლაინ შეკვეთის წინამდებარე წესები და პირობები (შემდგომში - „მომსახურების პირობები“) არეგულირებს თქვენსა და შპს მაგთიკომს (საიდ. კოდი: 204876606, მისამართი: ქ. თბილისი, 0186 ა.პოლიტკოვსკაიას N7) (შემდგომში - ოპერატორი) შორის, ოპერატორის მიერ განსაზღვრული პროდუქტების თქვენი მხრიდან შეკვეთისა და თქვენთვის მიწოდების მომსახურების (შემდგომში - „მომსახურება“) წესებსა და პირობებს.

1. ამ „მომსახურების პირობებზე“ დათანხმებით (შესაბამის ღილაკზე „გავეცანი და ვეთანხმები“ დაჭერით) თქვენ ადასტურებთ, რომ წარმოადგენთ ქმედუნარიან სრულწლოვან პირს და გაქვთ სრული უფლებამოსილება, უფლებაუნარიანობა და კომპეტენცია დაეთანხმოთ წინამდებარე პირობებს, ქვემოთ მოცემულ ვალდებულებებს, განცხადებებს, გარანტიებს, ასევე სრულად დაიცვათ და შესაბამისობაში იყოთ მოცემულ პირობებთან და მათგან გამომდინარე მოთხოვნებთან.
2. ტერმინი „თქვენ“ (მოცემული სიტყვის ყველა შესაძლო ვარიაციით) აღგნიშნავთ თქვენ – ფიზიკურ, სრულწლოვან, ქმედუნარიან პირს, რომელიც ეთანხმებით „მომსახურების პირობებს“.
3. თქვენს მიერ მოწოდებული პერსონალური მონაცემები ოპერატორის მიერ დამუშავდება:

3.1.1. თუ თქვენ ხართ ოპერატორის აბონენტი - თქვენსა და ოპერატორს შორის მოქმედი ხელშეკრულების და ოპერატორის კონფიდენციალურობის პოლიტიკის შესაბამისად.

3.1.2. თუ თქვენ არ ხართ ოპერატორის აბონენტი - კონფიდენციალურობის პოლიტიკის შესაბამისად (იხ. ბმული).

4. თქვენ საშუალება გექნებათ დისტანციურად შეუკვეთოთ ის პროდუქტები/მომსახურებები, რომლებიც განთავსებულია შემდეგ ბმულზე.
5. მე-4 პუნქტით განსაზღვრული პროდუქტების/მომსახურებების შეკვეთა და მიღება ხორციელდება ოპერატორის პორტალის MyMagti-ის (შემდგომში - „პორტალი“) საშუალებით.
6. მომსახურების მიღების სანაცვლოდ მომსახურების ღირებულების გადახდა ხორციელდება პორტალზე რეგისტრირებული თქვენი საბანკო ბარათის მეშვეობით .
7. მე-4 პუნქტით განსაზღვრული პროდუქტის/მომსახურების მისაღებად/შესაკვეთად თქვენ დარეგისტრირებული უნდა იყოთ პორტალზე. ცალკეული მომსახურების მისაღებად საჭიროა გაიაროთ/გავლილი გქონდეთ მომხმარებლის იდენტიფიცირების პროცედურა (იხ. ბმული) და დამატებით მიუთითოთ მოთხოვნილი მონაცემები/ატვირთოთ დოკუმენტები.
8. სრული და ზუსტი მისამართის მითითების შემდგომ პორტალის თქვენ პროფილში თქვენ მიიღებთ ინფორმაციას შეკვეთილი პროდუქტის მიწოდების სავარაუდო ვადების შესახებ. არასრული, არასწორი ან დაუზუსტებელი მისამართის მითითების შემთხვევაში ოპერატორი არ იძლევა გარანტიას შეკვეთით განსაზღვრული პროდუქტის დროულად მიწოდებაზე, ისევე როგორც შეკვეთის სრულყოფილად შესრულებაზე.
9. პორტალზე არსებულ თქვენს პროფილში შესაძლებლობა გექნებათ იხილოთ ინფორმაცია შეკვეთის მიმდინარეობის სტატუსის შესახებ. თითოეული სტატუსის შესახებ ინფორმაცია ასახული იქნება პორტალზე, ისევე როგორც გეცნობებათ მის შესახებ პორტალზე რეგისტრირებული ელ-ფოსტის/საკონტაქტო ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით.
10. ოპერატორის მიერ განსაზღვრული კონკრეტული პროდუქტის შეძენის/შეკვეთის შემთხვევაში (მითითებული იქნება ასეთი პროდუქტის შეძენისას), უშუალოდ თქვენ უნდა წარუდგინოთ

კურიერს პირადობის მოწმობა, ხელი მოაწეროთ წარმოდგენილ შესაბამისი დოკუმენტაციას და გადასცეთ კურიერს.

11. გარდა მე-10 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა, თქვენი არყოფნის შემთხვევაში გზავნილი/შეკვეთა გადაეცემა თქვენ მიერ მითითებულ მისამართზე მყოფ პირს.
12. თქვენ შესაძლებლობა გაქვთ წინასწარ, შეკვეთის გაფორმებამდე, გაეცნოთ კურიერის მიერ თქვენთვის ხელმოსაწერად გადმოცემული დოკუმენტის შინაარსს, ხოლო შეკვეთის წარმატებით დასასრულებლად და მომსახურების მისაღებად თქვენ ვალდებული ხართ ხელი მოაწეროთ კურიერის მიერ წარმოდგენილ აღნიშნულ დოკუმენტაციას.
13. თქვენს მიერ მითითებულ მონაცემებსა და პორტალზე ატვირთულ დოკუმენტს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში შეკვეთა უარყოფილი იქნება და მომსახურება არ განხორციელდება. ასეთ შემთხვევაში, თქვენ შესაძლებლობა გაქვთ დააკორექტიროთ მონაცემები და ხელახლა მოახდინოთ შეკვეთის განთავსება.
14. პორტალზე დარეგისტრირებული შეკვეთის შემდგომ მისი გაუქმება შეუძლებელია.
15. შეკვეთით გათვალისწინებული პროდუქტის/გზავნილის ჩაუბარებლობა. თუ ვერ განხორციელდა შეკვეთილის პროდუქტის/გზავნილის გადმოცემა თქვენთვის, მითითებულ მისამართზე არ მოხდა კურიერის დახვედრა (მათ შორის თქვენი უარის შემთხვევაში დოკუმენტაციის ხელმოწერაზე, რაც უთანაბრდება თქვენ უარს მომსახურების მიღებაზე, ისევე როგორც შეკვეთილი პროდუქტის ჩაუბარებლობა სხვაგვარი მიზეზით, რაც გამოწვეულია თქვენი ბრალეულობით) თქვენ კვლავ გაქვთ შესაძლებლობა, რომ მიაკითხოთ თქვენ მიერ მითითებულ მისამართთან უახლოს ტერიტორიაზე არსებულ შპს საქართველოს ფოსტის (ს.ნ. 203836233) სერვის-ცენტრს, ან მაგთიკომის ოფისს (გზავნილის ზუსტი მდებარეობა უნდა გადაამოწმოთ მაგთიკომის ცხელ ხაზზე - 110011), სადაც 15 კალენდარული დღის განმავლობაში იქნება განთავსებული შეკვეთით გათვალისწინებული პროდუქტი/გზავნილი სტატუსით „მოკითხვამდე“. აღნიშნულ შემთხვევაში თქვენ შესაძლებლობა გაქვთ, თქვენი პირადობის მოწმობის წარმოდგენით ჩაიბაროთ შეკვეთით გათვალისწინებული პროდუქტი, შესაბამის დოკუმენტაციაზე ხელმოწერის შემდგომ.
16. იმ შემთხვევაში თუ თქვენ მე-15 პუნქტით განსაზღვრული ვადის განმავლობაში არ მიაკითხავთ ზემოაღნიშნულ სერვისცენტრს თქვენ დაგიბრუნდებათ გადახდილი თანხა მე-17 პუნქტში მითითებული პირობების გათვალისწინებით.
17. დაბრუნებას ექვემდებარება მხოლოდ სიმ-ბარათის ღირებულება (გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც ხდება მისი შეკვეთა სააბონენტო ნომერთან ერთად), პულტის და მოდემის ღირებულება. გადახდილი თანხის დაბრუნება მოხდება იმავე საბანკო ანგარიშზე, საიდანაც თქვენ მიერ განხორციელდა ელექტრონულად გადახდა, ამგვარი ფაქტის დადგომიდან 30 კალენდარული დღის ვადაში. გაგზავნის/საკურიერო მომსახურების ღირებულება არ ანაზღაურდება.